გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

მეგობრებო,

მინდა მოგილოცოთ შობა-ახალი წელი და გისურვოთ ბედნიერი და წარმატებული 2022 წელი! მშვიდობა, სიკეთე და წინსვლა ყოფილიყოს თქვენი თანმდევი!

ჩვენი საბჭოს სახელით კი ვისურვებდით მომავალი წელი იყოს თანასწორობისა და უკეთესი მომავლისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებით სავსე!

-საბჭოს თავმჯდომარე,
ნინო წილოსანი

gender@parliament.ge

საინფორმაციო ბიულეტენი | დეკემბერი

მაღალი დონის შეხვედრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე

2 დეკემბერს, 16 დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების გაუმჯობესების საკითხებზე გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ მაღალი დონის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაში პარლამენტიდან აგრეთვე მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე და საბჭოს წევრი, მიხეილ სარჯველაძე.

ვიზიტი შინაგან საქმეთა სამინისტროში

7 დეკემბერს, საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს ეწვია. შეხვედრაზე მხარეებმა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გამოწვევები განიხილეს და სამომავლოდ ერთობლივი აქტივობების განხორციელებაზე შეთანხმდნენ.

მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზის გახსნა

7 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტში ქალი ეროვნული გმირის, მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზი გაიხსნა. დარბაზი საზეიმო ვითარებაში გახსნეს პარლამენტისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეებმა და შვედეთის სამეფოს ელჩმა საქართველოში, ულრიკ თიდესტრომმა.

გაეროს განვითარების პროგრამის ორგანიზებულ ფორუმში მონაწილეობა

10 დეკემბერს, საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა და საბჭოს წევრმა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სარჯველაძემ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ორგანიზებულ ფორუმში მიიღეს მონაწილეობა. ნინო წილოსანმა დამსწრე საზოგადოებას ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით საბჭოს მუშაობის გამოცდილება გაუზიარა, მიხეილ სარჯველაძემ კი ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული მნიშვნელოვანი პროგრესი და გამოწვევები მიმოიხილა.

სამუშაო შეხვედრა მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოებასთან დაკავშირებით

14 დეკემბერს, საბჭომ მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოებასთან დაკავშირებული მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე საბჭოს თავმჯდომარემ, ექსპერტებმა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში ეფექტურად დასანერგად აუცილებელი ნაბიჯები განიხილეს.

საინფორმაციო ბიულეტენი | დეკემბერი

გასვლითი სამუშაო შეხვედრა თემატური მოკვლევის ფარგლებში

19-20 დეკემბერს, სტამბულის კონვენციის ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვისა და მათი აღსრულების ეფექტიანობის შესახებ თემატური მოკვლევის საბოლოო ანგარიშის შემუშავების მიზნით, საბჭომ USAID GGI პროგრამის მხარდაჭერით გასვლითი სამუშაო შეხვედრა ჩაატარა. კონსულტაციებში მონაწილეობდნენ პარლამენტის წევრები, ექსპერტები, სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

საბჭოს სხდომა

23 დეკემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა ჩატარდა, რომელზეც დამტკიცდა კითხვარი პარლამენტის გენდერული მგრძნობელობის ინდექსის შესახებ. ასევე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით შეიქმნა ,,თანასწორობის თაობის'' მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას გაუწევს ზედამხედველობას.

თემატური მოკვლევის შუალედური მიგნებების პრეზენტაცია

21 დეკემბერს, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით საბჭომ შშმ ქალებისა და გოგონებისათვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ თემატური მოკვლევის მონიტორინგის შუალედური მიგნებები ჰიბრიდულ რეჟიმში წარმოადგინა. შეხვედრაზე მიღებულ უკუკავშირს საბჭო შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მონიტორინგის ზეპირი მოსმენების ეტაპზე გააჟღერებს. ღონისძიება განხორციელდა საქართველოში დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობის და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის (GGF) ფინანსური მხარდაჭერით.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

შეხვედრა იაპონიის ელჩთან

2 დეკემბერს, ნინო წილოსანი საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, იმამურა აკირას შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა დეტალურად განიხილეს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა და პრიორიტეტები. საუბარი შეეხო საქართველოში ქალთა გაძლიერებაში იაპონიის კონტრიბუციასა და ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმებს.

შეხვედრა ანდრეას კიფერთან

საბჭოს თავმჯდომარე 10 დეკემბერს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის გენერალურ მდივანს ანდრეას კიფერს შეხვდა. მხარეებმა ისაუბრეს გენდერული თანასწორობის კუთხით საქართველოს მიერ გაწეულ პროგრესზე; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გენდერული თანასწორობის საკითხს ადგილობრივი თვითმმართველობების ჭრილში.